



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080131489175418

№ 1809

30 / ივლისი / 2018 წ.

შპს „ბეტკოს“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ბაღდათის მუნიციპალიტეტი;

ტენდერის ნომერი: NAT170008302;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბეტკოს“ (ს/ნ: 400051858);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 30 აპრილს წარმოდგენილ იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 27 აპრილის № 41/3529 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 3748), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბეტკოს“ (ს/ნ: 400051858) მიერ NAT170008302 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 17 აგვისტოს № 132 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „ბეტკოს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის ltmjnm@gmail.com მეშვეობით, 2018 წლის 30 აპრილის № 1647 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2018 წლის 4 და 29 მაისს შპს „ბეტკოს“ სააგენტოში წარმოადგინა 2018 წლის 3 მაისის № 2/5-18 და 2018 წლის 22 მაისის 01/02 განმარტებები (რეგისტრაციის № 3926 და № 4578) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. 2018 წლის 21 მაისს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოში წარმოადგინა 2018 წლის 21 მაისის № 41/3882 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 4311) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.5. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დასადგენად, დაინიშნა ზეპირი მოსმენა, რომელიც გაიმართა 2018 წლის 14 ივნისს, 14:00 საათზე.

1.6. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დასადგენად, „შპს „ბეტკოს“ შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 28 ივნისის № 1605 განკარგულებით, ერთი თვით გაგრძელდა

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დანყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

1.7. შემსყიდველ ორგანიზაციას სააგენტოს 2018 წლის 5 ივლისის №2430 წერილით ეთხოვა ინფორმაცია, თუ რა ღირებულების ვალდებულებები შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

1.8. 2018 წლის 12 ივლისს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოში წამოადგინა 2018 წლის 9 ივლისის № 41/4685 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 5815) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2017 წლის 17 აგვისტოს № 132 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მან არაერთხელ დაარღვია სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკი, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი, დამატებითი ინფორმაციის თანახმად, პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, მათი მოცულობის შემცირების მიუხედავად, შესრულდა ვადაგადაცილებით, რის გამოც მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა, თუმცა შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაიბარა შესრულება. რაც შეეხება მეორე ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებს, მიმწოდებელმა, ამ შემთხვევაშიც, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, დაარღვია მის მიერვე წარდგენილი ფინანსური გეგმა-გრაფიკი და 2018 წლის 24 აპრილამდე სამუშაოების წარმოება არ განაახლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წლის 26 აპრილს ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა, თუმცა ამის შემდეგ, მიმწოდებელი კვლავ აგრძელებდა სამუშაოების წარმოებას თვითნებურად. 2018 წლის 8 მაისს მიმწოდებელს ეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტისა და თანხის ანაზღაურებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა, თუმცა დასახელებული დოკუმენტაცია მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის არ წარუდგენია, რის შესაბამისადაც ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოების ბუსტი მოცულობის, ხარისხისა და ღირებულების დადგენა ვერ მოხერხდა.

2.3. ზეპირ მოსმენაზე გამოცხადებული შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლების განმარტებების შესაბამისად, მიმწოდებელმა ვადაგადაცილებით დაიწყო სამუშაოების წარმოება, არაერთხელ დაარღვია სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკი და არაერთი გაფრთხილების მიუხედავად არასრულად შეასრულა მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა პროექტის განხორციელება. ამასთან, მიმწოდებელს ეძლეოდა, როგორც წერილობითი ისე ზეპირსიტყვიერი გაფრთხილებები ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 25 აპრილამდე გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ექნებოდა შესაძლებლობა გაეგრძელებინა ვალდებულებების შესრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის წერილობითი განმარტების შესაბამისად, ვალდებულებების შესრულების პროცესში გამოვლენილმა გაუთვალისწინებელმა სამუშაოებმა (რაც განაპირობა პროექტის არასრულყოფილებამ), რთულმა რელიეფმა და უხვმა ნალექმა გამოიწვია სამუშაოების შესრულების შეფერხება, თუმცა მიმწოდებელს, უსაფუძვლოდ არ გაუგრძელდა 2017 წლის განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულებების ვადა. მიუხედავად აღნიშნულისა, მიმწოდებელმა შეასრულა 2017 წლის განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულებები, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო შესრულება. რაც შეეხება 2018 წლის განმავლობაში შესასრულებელ ვალდებულებებს, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებელმა მას წარუდგინა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომლის შესაბამისად, მიმწოდებელს 2018 წლის 25 მარტიდან 25 აპრილამდე უნდა შეესრულებინა 100 205,29 ლარის ღირებულების სამუშაოები. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ გეგმა-გრაფიკის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყდებოდა. აღნიშნულის შემდეგ, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა სრული ტემპით და მიმწოდებელი განსაზღვრულ ვადაში გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებას მოახერხებდა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, გეგმა-გრაფიკითა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ვადის გასვლამდე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება უსაფუძვლოდ შეწყდა. მიმწოდებელმა 2018 წლის 1 მაისს დაასრულა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება და შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვა თანხის ანაზღაურება, თუმცა უშედეგოდ.

3.2. ზეპირ მოსმენაზე გამოცხადებული მიმწოდებლის წარმომადგენლების განმარტებების შესაბამისად, მიმწოდებელს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი პირველი ეტაპით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის 2017 წლის ბოლომდე გაზრდასთან დაკავშირებით, რადგან სამუშაოების შესრულების შეფერხება გამოიწვია უამინდობამ, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ გაითვალისწინა. რაც შეეხება 2018 წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოებს, მიმწოდებელს ეთხოვა ვალდებულებების შესრულების ფინანსური გეგმა-გრაფიკის წარდგენა, თუმცა წარდგენილი გეგმა-გრაფიკი არ იყო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად, წარდგენილი ფინანსური გეგმა-გრაფიკი არ წარმოადგენდა მიმწოდებლის ვალდებულებას, არამედ იგი იყო ინფორმაციული ხასიათის. ამასთან,

წარდგენილ გეგმა-გრაფიკში არ იყო ჩაშლილი, თუ რა სახის ღირებულების სამუშაოები უნდა ეწარმოებინა მიმწოდებელს, არამედ მასში მითითებული იყო მხოლოდ შესასრულებელი ვალდებულებების ღირებულება. მიმწოდებელმა ობიექტზე შეიტანა ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო მასალა (მასალების შეტანა პერიოდულად ხდებოდა მარტის თვიდან), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (ზედნაღებებით). აქედან გამომდინარე, ობიექტზე მარტის თვიდანვე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება. აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 3 მარტის გაფრთხილების წერილში, რომელიც მიმწოდებელს ჩაბარდა 2018 წლის 23 მარტს, მითითებული იყო, რომ გეგმა-გრაფიკის 10-დღიანი ჩამორჩენის შემთხვევაში ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდებოდა. შესაბამისად, მიმწოდებელს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ 2018 წლის 5 მაისამდე შეესრულებინა 100 205,29 ლარის ღირებულების სამუშაოები, თუმცა აღნიშნულისა და იმის მიუხედავად, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია ინფორმირებული იყო სამუშაოების სრული ტემპით მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება 2017 წლის 26 აპრილს ცალმხრივად შეწყდა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2017 წლის 18 ივლისს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT170008302 ელექტრონული ტენდერი საავტომობილო გზების მშენებლობის სამუშაოების (CPV45233110) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2017 წლის 4 აგვისტოს № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „MJM“ (ამჟამად შპს „ბეტკო“) (ს/ნ: 400051858), ხოლო 2017 წლის 10 აგვისტოს №4 სხდომის ოქმით, იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2017 წლის 17 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა № 132 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა გზის მონაკვეთის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები 2018 წლის 30 სექტემბრამდე. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 354 620 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 30 ოქტომბერი.

4.4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 5.1 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს 2017 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით უნდა შეესრულებინა ვალდებულებების ნაწილი (ბეტონის გზის მოწყობა სოფელ ხანიდან სოფელ კაკასხიდისკენ).

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 5 სექტემბრის № 41/6825 წერილიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ვერ დაიწყო სამუშაოების წარმოება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, რის გამოც მას მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით.

4.6. მიმწოდებლის 2017 წლის 25 სექტემბრის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების აუცილებლობის შესახებ და ეთხოვა მათი ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინება.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 27 სექტემბრის №41/7373 წერილიდან ირკვევა, რომ სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა გეგმა-გრაფიკის დარღვევით, რის გამოც მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 9 ოქტომბრის №41/7604 წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ თანხმობა განაცხადა გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებაზე. ამავე წერილით, მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 24 ოქტომბრის № 41/7985, 30 ოქტომბრის № 41/8112 და 13 ნოემბრის № 41/8542 წერილებით, მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით.

4.10. მიმწოდებლის 2017 წლის 15 ნოემბრის წერილით, რთული რელიეფისა და კლიმატური პირობების, ასევე სხვა ხელშემშლელი გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა 2017 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის შემცირება და მისი 450 000 ლარის ღირებულებით განსაზღვრა.

4.11. შემსყიდველი ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების მუდმივმოქმედი კომისიის 2017 წლის 22 ნოემბრის № 36 სხდომის ოქმის შესაბამისად, რთული რელიეფისა და კლიმატური პირობების, ასევე სხვა ხელშემშლელი გარემოებების გათვალისწინებით, მიმწოდებლის მოთხოვნა, რომ 2017 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებად განსაზღვრულიყო 450 000 ლარი, დაკმაყოფილდა.

4.12. 2017 წლის 24 ნოემბრის შეთანხმების ოქმით, 2017 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებად განისაზღვრა 450 000 ლარი.

4.13. მიმწოდებლის 2017 წლის 27 ნოემბრის წერილით, უხვი ნალექით გამოწვეული შეფერხების გამო, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის 2017 წლის 27 ნოემბრიდან 27 დეკემბრამდე გაზრდა.

4.14. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 29 ნოემბრის №41/9027 წერილით, იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით შესასრულებელი ვალდებულებების მოცულობა შემცირდა და განისაზღვრა 450 000 ლარით, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა.

4.15. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 28 ნოემბრის №41/8989 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ მას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა 1 354,62 ლარის ოდენობით.

4.16. მიმწოდებლის 2017 წლის 6 დეკემბრის წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას კვლავ ეცნობა უამინდობითა და სხვა ობიექტური მიზეზებით გამონვეული შეფერხებების შესახებ და ეთხოვა პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის 2017 წლის ბოლომდე გაზრდა. ამავე წერილს ერთვოდა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2017 წლის 4 დეკემბრის ცნობა, რომლის შესაბამისად, 2017 წლის 8 აგვისტოდან 25 ნოემბრის ჩათვლით, 42 დღის განმავლობაში აღინიშნებოდა ნალექი.

4.17. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 11 დეკემბრის №41/9516 წერილით, იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობა მხარეთ შეთანხმებით შემცირდა, მიმწოდებელს უარი ეთქვა პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდაზე.

4.18. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 20 დეკემბრის №41/9926 წერილით, მიმწოდებელს განემართა მიზეზები, თუ რატო ვერ გაიზარდა პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა.

4.19. შემსყიდველი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის 2017 წლის 20 დეკემბრის № 1705-41 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მიმწოდებელმა დაასრულა პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ნარმოება.

4.20. 2017 წლის 28 ნოემბრის №1 და 2018 წლის 25 დეკემბრის №2 მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მიმწოდებელმა შეასრულა 450 000 ლარის (პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები) ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 33%).

4.21. შემსყიდველი ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების მუდმივმოქმედი კომისიის 2017 წლის 25 დეკემბრის № 40 სხდომის ოქმის შესაბამისად, პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი, ნაცვლად 2017 წლის 27 ნოემბრისა, დასრულდა 2017 წლის 19 დეკემბერს.

4.22. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 13 თებერვლის №41/1487 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა 2018 წელს განსახორციელებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის წარდგენა და სამუშაოების გაგრძელება.

4.23. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 21 თებერვლის № 41/1846 წერილით, მიმწოდებელს კვლავ ეთხოვა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის წარდგენა და სამუშაოების წარმოების გაგრძელება 2018 წლის 1 მარტამდე.

4.24. მიმწოდებლის 2018 წლის 6 მარტის № 137 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომლის შესაბამისად, მიმწოდებელს 2018 წლის 25 მარტიდან 25 აპრილამდე უნდა შეესრულებინა 100 205,29 ლარის ღირებულების სამუშაოები.

4.25. შემსყიდველი ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების მუდმივმოქმედი კომისიის 2018 წლის 15 მარტის № 3 სხდომის ოქმის შესაბამისად, ცნობად იქნა მიღებული მიმწოდებლის მიერ 2018 წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.

4.26. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 26 მარტის № 41/2797 და 3 აპრილის № 41/3038 წერილების შესაბამისად, მიმწოდებელს დაწყებული არ ჰქონდა 2018 წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოების წარმოება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება, რომ გეგმა-გრაფიკის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შეწყდებოდა.

4.27. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 10 და 17 აპრილის № 41/3172 და № 41/3353 წერილებით, მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

4.28. შემსყიდველი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მონყობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 23 აპრილის № 585-41 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მიმწოდებელს, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 2018 წლის 25 აპრილამდე უნდა შეესრულებინა 100 205,29 ლარის ღირებულების ვალდებულებები. იმ მოტივით, რომ მიმწოდებელს, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, 2018 წლის განმავლობაში ობიექტზე სამუშაოები არ უწარმოებია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.29. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 24 აპრილის №41/3482 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ 2018 წელს სამუშაოების წარმოების გაუგრძელებლობის გამო, 2018 წლის 26 აპრილიდან ხელშეკრულება

შეწყობდა.

4.30. მიმწოდებლის 2018 წლის 24 აპრილის № 23/1-18 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა შესრულებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

4.31. მიმწოდებლის 2018 წლის 24 აპრილის № 400 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა სრული დატვირთვით. ამასთან შემსყიდველ ორგანიზაციას განემარტა, რომ მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში (გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენა არ იქნებოდა 10 კალენდარულ დღეზე მეტი) მიმწოდებელი შეასრულებდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულზე მეტ სამუშაოებს.

4.32. 2018 წლის 25 აპრილის აქტის შესაბამისად, 2018 წლის 25 აპრილის მდომარეობით, მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა გარკვეული სამუშაოები (მონყობილი იყო 700 კვ. მ. საფუძვლის ზედა ფენა ფრაქციის ღორლით და დაგებული იყო 388 კვ. მ. გზის სავალი ნაწილი არმირებული ბეტონით).

4.33. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 აპრილის № 41553 ბრძანებით, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობა 2018 წლის 26 აპრილის №41/3518 წერილით.

4.34. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 30 აპრილის № 41/3564 წერილის შესაბამისად, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოება ვერ განაახლა 2018 წლის 24 აპრილამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული გახდა ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება.

4.35. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 1 მაისის № 41/3594 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების წარმოების შეწყვეტა, რადგან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო.

4.36. მიმწოდებლის 2018 წლის 1 მაისის № 177 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად იყო დასრულებული 2018 წლის 1 მაისს და ეთხოვა ანგარიშსწორება.

4.37. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 8 მაისის № 41/3666 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, 2018 წლის 26 აპრილიდან სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობა აღარ განხორციელებულა, რის შესაბამისადაც მას ეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტისა და თანხის ასანაზღაურებლად საჭირო სხვა დოკუმენტაციის წარდგენა, თუმცა უშედეგოდ.

4.38. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 9 ივლისის № 41/4685 წერილის შესაბამისად, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ვერ წარუდგინა ობიექტის ინსპექტირებისა და ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რის გამოც შესრულებული სამუშაოს ხარისხის, რაოდენობისა და ღირებულების განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბეტკოს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადანყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის

შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. 2017 წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებლის რთული რელიეფისა და კლიმატური პირობების, ასევე სხვა ხელშემშლელი გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა 2017 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის შემცირება და მისი 450 000 ლარის ღირებულებით განსაზღვრა, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაკმაყოფილდა. საბოლოოდ, მიმწოდებელმა ვადაგადაცილებით, თუმცა სრულად შეასრულა 2017 წლის განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულებები, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო შესრულება და მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

7.4. 2018 წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა გეგმა-გრაფიკი (რომელიც, მართალია, არ იყო ხელშეკრულების ნაწილი, თუმცა მისი წარდგენით მიმწოდებელმა თავად გამოავლინა ნება, რომ სამუშაოებს მის მიხედვით შეასრულებდა), რომლის შესაბამისად, მიმწოდებელს 2018 წლის 25 მარტიდან 25 აპრილამდე უნდა შეესრულებინა 100 205,29 ლარის ღირებულების სამუშაოები. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ გეგმა-გრაფიკის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შეწყდებოდა, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ხელშეკრულება შეწყდა 2018 წლის 27 აპრილს. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე ყურადსაღებია ფაქტები, რომ მიმწოდებელმა დასახელებულ პერიოდში ობიექტზე შეიტანა ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო გარკვეული საქონელი, ასევე 2018 წლის 24 აპრილს შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა შესრულებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ და განუმარტა, რომ მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში (გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენა არ იქნებოდა 10 კალენდარულ დღეზე მეტი) მიმწოდებელი შეასრულებდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულზე მეტ სამუშაოებს, ხოლო ფაქტი, რომ 2018 წლის 25 აპრილის მდომარეობით, მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა გარკვეული სამუშაოები (მონყობილი იყო 700 კვ. მ. საფუძვლის ზედა ფენა ფრაქციის ღორღით და დაგებული იყო 388 კვ. მ. გზის სავალი ნაწილი არმირებული ბეტონით) დადასტურებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილი აქტით. შესაბამისად, მართალია მიმწოდებელმა 2018 წლის 25 აპრილიდან ვერ დაიწყო სამუშაოების წარმოება, ასევე მან გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში ვერ შეასრულა 100 205,29 ლარის ღირებულების სამუშაოები, რაც მიუთითებს ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებაზე, თუმცა შემსყიდველი ორგანიზაციის გაფრთხილების შესაბამისად, მიმწოდებელს უნდა მისცემოდა გეგმა-გრაფიკის 10 კალენდარული დღის ჩამორჩენის პერიოდში გაეგრძელებინა ვალდებულებების შესრულება.

7.5. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.8. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სააგენტო ითვალისწინებს, რომ ერთი მხრივ, არსებობს არაჯეროვანი შესრულების ფაქტი, თუმცა, მეორე მხრივ, ხელშეკრულება შეწყდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადის მეორე დღეს და შემსყიდველი ორგანიზაციის გაფრთხილების შესაბამისად, მიმწოდებელს არ მიეცა გეგმა-გრაფიკის 10 კალენდარული დღის ჩამორჩენის პერიოდში ვალდებულებების შესრულების გაგრძელების საშუალება. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ბეტკოს“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი


სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ბეტკოს“ (ს/ნ: 400051858) 2018 წლის 31 ივლისს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრონულად 

ლევან რაზმაძე